



საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აცხადებს კონკურსს

ანალიტიკოსის ვაკანსიაზე

ადვოკატთა ასოციაციის შესახებ: ადვოკატთა ასოციაცია არის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოში კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებას.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიმდინარე პროექტის ფარგლებში, აცხადებს ვაკანსიას ანალიტიკოსის პოზიციაზე.

სახელფასო განაკვეთი: 600\$-დან 800\$-მდე (გამოცდილების გათვალისწინებით)

სამუშაო ადგილი: თბილისი (ადვოკატთა ასოციაციის ოფისი)

სამუშაო საათები: 10:00 – 18:00 (ორშაბათი-პარასკევი)

დასაქმების ვადა: შერჩეული კანდიდატი აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმდება მიმდინარე პროექტის ვადით (8 თვე). დასაქმების ვადის გაგრძელება დამოკიდებული იქნება პროექტის გაგრძელებაზე.

სამუშაო აღწერილობა:

- კვლევების, ანგარიშების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და განცხადებების მომზადება ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, მართლმსაჯულების სისტემა და იურიდიული პროფესიის განვითარება.
- ასოციაციის თემატური კომიტეტების მხარდაჭერა კვლევისა და ანგარიშების მომზადების გზით.
- ასოციაციის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ანალიტიკური მხარდაჭერა.
- ასოციაციის მიერ გამართული ღონისძიებების ორგანიზებაში ჩართულობა.

- საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენციის სფეროში შემავალ საკითხებზე სხვა საქმიანობის განხორციელება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი იურიდიული განათლება (უპირატესობა მიენიჭება მაგისტრის ხარისხს);
- სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული საქმიანობის შესაბამისი მინიმუმ 1 წლის გამოცდილება;
- ქართულის და ინგლისურის მაღალ დონეზე ცოდნა (წერა და საუბარი);
- კვლევის ჩატარებისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის უნარი;
- დამოუკიდებლად და ჯგუფში მუშაობის უნარი.

კონკურსის ეტაპები:

I ეტაპი: განაცხადების მიღება და შეფასება. განაცხადი უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისგან (არასრული განაცხადები არ განიხილება):

- CV (უნდა შეიცავდეს მინიმუმ 2 რეკომენდატორის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას);
- სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე (მიმოიხილეთ რატომ ხართ დაინტერესებული ვაკანსიით და რატომ ფიქრობთ, რომ აკმაყოფილებთ საკონკურსო მოთხოვნებს - მაქსიმუმ 400 სიტყვა);
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

II ეტაპი: გასაუბრება (წარიმართება ქართულ და ინგლისურ ენებზე). აღნიშნულ ეტაპზე მოწვეული იქნებიან მხოლოდ I ეტაპზე შერჩეული კანდიდატები.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს III ეტაპი: წერითი დავალების შესრულება (ინგლისურ ენაზე).

განაცხადების წარდგენის პროცესი:

- განაცხადის მიღების ბოლო ვადა: 2022 წლის **15 სექტემბერი 18:00** საათი.
- დაინტერესებულმა კანდიდატებმა „I ეტაპში“ ჩამოთვლილი დოკუმენტები უნდა გამოაგზავნონ შემდეგ ელ-ფოსტაზე: t.devdariani@gba.ge
- ელ-ფოსტის სათაურში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება - ანალიტიკოსი.